# ეხო

№ 33
წელიწადი პირველი
1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და-ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ოთხშაბათი, 11 დეკემბ.
მისამართი: Кутаисъ, редакция газ.
Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



„რადიუმი"
ორშაბათიდან, 9 დეკემბ.
I.
პატე ჟურნალი.

II.
ბიზანტიის დამხობა.
სტამბოლის აღება სულთან მაჰომედ მე-ორის მიერ. იერიში სტამბოლზე. წმ. სოფიის ტაძარში ქრისტიანების ამოჟლეტა. დიაცთა შეგინება და გაყიდვა გამარჯვებულთა ჰარამხანებში

III.
მაქს ლინდ. თვალთმაქცი
IIII.
პროგრამის გარეთ:
სისხლის ნიაღვარი

დრ.მ. ამერიკაში ზანგთა გათავისუფლების დროიდან.
ანონსი: ხუთშაბათიდან პირველი სერია 6 ნაწილათ.
„ბედის გასალები"
გერბიგის რომანით.



# 1913 წლის 20 ნოემბრიდან

ქალ. ქუთაისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ

გახსნა საკუთარი

## ს ტ ა მ ბ ა

სტამბა საუკეთესოთ მოწყობილია და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეს—ქართულ, რუსულად ენებზე..ვ



პაევზე დამყარებული ამხანაგობა
ს. მ. პირაკოზოვი
და ზ. გ. ოგანოვი
ნიშნავს საშობაო

10—21 დ ე კ ე მ ბ რ ა მ დ ე 1913 წ.

# იაფ ვაჭრობას

მაღაზია ღია იქნება 9—1 საათ. და 3—7 საათამდე.



გამოშვებულია!!!
ახალი პაპიროზები

# „საგანგებო"

20 ცალი 5 კაპ.

ეს პაპიროზები ჩაწყობილია უბრალო ყუთში რაც შემდე-ბას იძლევა შიგ საუკეთესო ხარისხის თამბაქოს ჩაწყობისას.

## იყიდება ყველგან

რადგანაც ჩვენი ეთიკეტების მიბაძვით ყალბი ეთიკეტების კეთებას ბოლო არ ეღება, საჭიროა, ყურადღება მიექცეს ფირმას და დამტკიცებულ საფაბ-რიკო მარკას, საჭიროა, გაფრთხილდეთ, რომ არ შეიძინოთ მცირე ფასიანი უვარგისი ჩვენი მიბაძვით გაკეთებული პაპიროზები, რომელსაც არაფერი საერთო აქვს ჩვენს პაპიროზებთან არც გემოსა და არც თვისების მხრით.

## ТД. БОЗАРДЖІАНЦЪ съ С-ми.

ფირმა არსებობს 1858 წლიდან.



## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარე-თის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შე-ნობაში, ახვლედიანის მაღაზ ის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამის ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშე-ბის ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკ ბი, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ღაზლის მრავალ-გვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედა-წელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რე-ზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.



## დიდი იაფი ვაჭრობა.

მოსკოვის საფართლო მაღაზიაში
(ვორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)
18 ნოემბრიდან გაიხსნება

## დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.


ვაუწყებთ სამტრედიის სამშითვო კასის პატივცემულ წევრთ, რომ 24 ნოემბრის მოშხთარ საზოგადო კრების მიერ არჩეულმა კომისიამ პირველისა და მეორე დეკემბრის სხდომებიდან გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

1) ყოველივე მოქმედება, როგორც გამგეობის, აგრეთვე სარევიზიო კო-მისიისა იცნო კანონიერათ.

2) წევრს რომელსაც მართებს ორას ორმოცდა ათი დაქორწინებულის ვა-ლი ამას დღიდან მიღებისა ამა განცხადებისა ერთი თვის განმავლობაში და შე-მდეგ ყოველ თვეში შემოაქვს თითო თუმანი სანამ არ შემოიტანს თერთმეტ თუ-მანს იმ ფულს მიმატებით, რომელიც აქვს შემოტანილი, მხოლოდ დანარჩენი წევრნი აგრეთვე იხთიან ყოველ თვეში ხუთ-ხუთ მანეთს და მასთან 1 მ. 5 შ. რამდენი ქორწინებაც მოხდება.

3) შეტან-გამოტანა ფულისა ხდება სამტრედიის ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოებას საშვალებით, კასის გამგეობის ჩეკებით კონტროლის ზედამხედველობას ქვეშ.

4) არჩევა გამგეობის თავჯდომარისა, კონტროლიორისა და სხ.

5) გადატანა კასის გამგეობის ბინისა უფრო სავარგისს ადგილზე.

6) მოწვევა საგანგებო კრებისა

### ...უთხმეტ ქრისტეშობისთვეს,

რისთვისაც გამგეობა სამტრედიის სამშითვო კასისა აცნობებს და სთხოვს წევრთ კა-სისას, რომ დაესწრონ კრებას 15 ქრისტეშობისთვეს დ. სამტრედიაში.

7) ამასთანავე საზოგადო კრების მიერ არჩეულმა კომისიამ განიხილა საზო-გადოების ანგარიში, და აღმოჩნდა, რომ დღიდან კასის დაარსებისა კასაში

| | |
|---|---|
| შემოსულა . . . | 38,311 მ. 19 შაური; |
| გასულა . . , . | 35,780 მ. 43 კ. |
| ამჟამათ კასაშია. . | 2531 მ. 52 კ. |

8) ყოველივე ეს ხელმოწერილი არის ათი არჩეული პირისაგან, რომლებიც დავალებული იყვენ კრებისგან. ოქმი ინახება გამგეობაში. ყოველი ანგარიში ე. ი. წევრს, რამდენი შემოუტანია, რამდენი გაუტანია, ან რამდენი რჩება კა-საზე გაუცემელი და რამდენი მათზე შემოუტანელი ამის ცნობები იქნება გა-მგეობის მიერ ცალკე წიგნაკებათ გამოცემული, სადაც იქნება დართული კანდი-დატთა სია, რომელიც დაურიგდება კასის ყველა წევრს.

თავჯდომარე დარასელია. გამგეობის წევრი ნ. მექმარიაშვილი.


## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

## მუდმივი საწოლებით

### თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დ ი ლ ი თ.**

| | |
|---|---|
| კ. ა. აშიანვი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . . | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . . | 11— 12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . | 12— 2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . . | 12½ 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . . | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარ-დის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფე-ბისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორი-გებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.



1 დეკემბრიდან ქუთაისსა და ბაღდადს შუა მიმოსვლის გასაადვილებ-ლათ მოქმედებას იწყებს მ. ა. შელამბერიძის რეზინის შინებიანი

## დ ი ლ ი ჟ ა ნ ი.

ბილეთის ფასი 3 აბაზი.

დილიჟანი ქუთაისიდან გავა ყოველდღე ნაშვადღევის 1 საათზე, დაბრუნდება ბაღდადიდან დილის 7 საათზე. დილიჟნის კანტორა მოთავსებულია ალექსანდრო-ვის ქუჩაზე სიმონ თედორაძის შენობაში.



**აქიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგა-ნის, ბავშების, აგრეთვე ყე-ლის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნი-კორაძისა.

**ა ქ ი მ ი** ა. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუ-შინსკის სახლი, ათონიქის უკან, ბუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**აქიმი** ი. ზარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყო-ფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქი-მი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, ბოლოცკის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**აქიმი** ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნ-და და განაგრძობს ავათმყოფე ბის მიღებას.

**ა ქ ი მ ი** გ. ა. მეიფარიანი, ღებულობს შინაგანი. ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.


### ქუთაისი, 11 დეკემბერი.

ამ ორი დღის წინათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ვინმე მოქალაქის წე-რილი ქალაქის მიერ სამი მილიონის სესხის აღების გადაწყვეტის გამო. ვინც ქალაქის საქმეებს თვალყურს ადევნებს, ეცოდინება, რომ საბჭომ გადასწყვიტა საოჯახო წესით გააკეთოს წყალსადენი, ელექტრონის სადგური, ტრამვაი და კა-ნალიზაცია. ამ მიზნით დაადგინეს კი-დეც იშვამდგომლონ მთავრობის წინაშე, ნება დაერთოს ქალაქს სამი მილიონის სესხის რეალიზაცია. სხვა საკითხია, შე-საძლებს ამას ქუთაისის გამოუცდელი გა-მგეობა, განაღდდება სესხი თუ არა, მაგრამ ზემოხსენებული გადაწყვეტილება რომ დიდათ სასარგებლო და საჭიროა, რომ ამ დასკვნამდი, არათუ ახლა, დი-დიხნით ადრე უნდა მისულიყო ჩვენი მუნიციპალიტეტი, ეს ეჭვს გარეშეა. ჩვენ შეგვიძლია ვუსაყვედუროთ ქალაქის საბჭოს, როგორც აწინდელს, ისე ძველს, რომ აქამდი ვერ შესძლო ისეთი აუცი-ლებელი საჭიროებისთვის ეზრუნათ, რო-გორიც არის წყალსადენი და კანალი-ზაცია, იქნება, ღირსნი იყვენ გაკიცხვი-საც კი ისინი, ვინც მთელი ამ ოცდა-ათი წლის განმავლობაში სათავეში უდგა ჩვენს მუნიციპალურ საქმეებს, რომ თა-ნამედროვე ცოტათ თუ ბევრათ კულ-ტურული ქალაქის დამახასიათებელი, ცხოვრების პირობების ოდნავათ გამა-უმჯობესებელი სამეურნეო დარგები ვერ მოაწყვეს, მაგრამ არ გვესმის, და, გვგო ნია, ვერც სხვამ გაიგოს ის შიში და სიფრთხილე, რომელსაც ამ შემთხვევაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიიღება ხელისმოწერა
## ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
# „ერ"-ზე

ბ. მოქალაქე იჩენს, როცა ზემოხსენებული სესხის აღებაზე ლაპარაკობს. მას რაღაც გამოურკვევლობა ეტყობა. ჩაიკითხავთ მის წერილს ბოლომდი და ვერ გაიგებთ, რის მომხრეა ავტორი. საჭიროთ სთვლის სხვადასხვა მუნიციპალური დაწყებულების განხორციელებას თუ არა. მართლა მარტო იმიტომ ხომ არ დაუწერია თავის წერილი მოქალაქეს, რომ საზოგადოების ინდიფერენტიზმი აღენიშნა, და ეთქვა—ეს საკითხები ფრიად სასარგებლო, საყურადღებო არისო. ვფიქრობთ, ამაზე თავის შეწუხება მეტი იყო, რადგან ყველასთვის ცხადია, რომ არა მარტო ასეთი კარდინალური საკითხი, როგორიც არის ელექტრონი, ტრამვაი, ყოველი საკითხი, რაც ჩვენი ქალაქის მეურნეობას შეეხება, დიდი ყურადღების ღირსია და დიდათ სასიხარულო იქნებოდა, რომ მათ გარკვევაში და სწორათ გადაწყვეტაში მცხოვრებნი ცხოველ ინტერესს იჩენდენ. დავეთანხმებით მოქალაქეს, რომ ზოგიერთი ხმოსანი და, შეიძლება, მთელი ნახევარი ნაწილიც მათი არ იჩენს საკმაო ენერგიას და, როდესაც ესოდენ დიდი საკითხები სწყდება, რომელსაც მოქალაქის სიტყვით ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ასეთ დროს სხდომასაც არ ესწრებიან. ეს იმას ამოწმებს, რომ მათ შეგნებული არ აქვთ მოქალაქობრივი მოვალეობა. მაგრამ განა იმიტომ, რომ ხმოსანთა ერთი ჯგუფი თავის მოვალეობას არ ასრულებს, საბჭოს გადაწყვეტილებას ამით ფასი და მნიშვნელობა ეკარგება; განა ის ისეთივე ღირსების არ არის, როგორც მაშინ იქნებოდა, რომ მთელ 42 კაცს მონაწილეობა მიეღო?

მოვახსენებთ ბ-ნ მოქალაქეს, რომ ხანდახან 17 კი არა, ერთი კაცი სწყვეტს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საკითხის ბედს, როცა მისი ხმა ორ თანასწორათ გაყოფილი კრების ერთ ნაწილს ემატება და რა არის აქ ცუდი, რომ 17 ხმოსანმა გადასწყვიტოს ის საკითხი, რომლის განხორციელებასაც ქალაქი 30 წელიწადია მოელის. საქმე ისაა, სალი და გონიერია თავისთავათ ეს გადაწყვეტილება თუ არა? ამის შესახებ წერილის ავტორი გადაჭრით არას ამბობს, თუმცა ნათქვამია—დაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო, მისი თანაგრძნობა სესხის აღებისკენ არ უნდა იყოს. ბ-ნი მოქალაქე ბძანებს—ვინც კი გაითვალისწინებს ქალაქის სიღარიბეს და მცხოვრებთა გაჭივრებას, დამეთანხმება, რომ სამი მილიონის სესხათ აღება, მისი სარგებლისა და თანხის გადახდა მართლა რომ გასაჭირი იქნებაო. მცხოვრებთა სიღარიბე რომ ქალაქისგან სესხის აღების დამაბრკოლებელი მიზეზი იყოს, მაშინ ვერც ერთი ქალაქი ვერავითარ გაუმჯობესებას ვერ ეღირსებოდა, რადგან ღარიბთა რიცხვი ყველგან ასჯერ უფრო მეტია მდიდრებისაზე.

ამას გარდა საქალაქო დებულების ძალით ქალაქის საქმეთა ბატონ-პატრონობა თითქმის ყველგან მდიდართა და შეძლებულთა მცირედ გუნდს აქვს ხელში ჩაგდებული. ესენი მუდამ იმის ცდაში არიან, რომ ყოველგვარი გადასახადი მცხოვრებთა ღარიბ ნაწილს მოახვიონ, თვით კი რაც შეიძლება ნაკლები იხადონ. სესხის აღებას დღეს ვერც ერთი ქალაქი არ ერიდება, რადგან უმისოთ შეუძლებელია სხვადასხვა სამეურნეო დარგის წარმოება და კერძო კამპანიებიდან გამოსყიდვა ტრამვაის, წყალსადენის, განათებისა და სხვა საზოგადოებრივ სამეურნეო წარმოებათა. ახლა ჩუხლომა და ცარევო-კოკშაისკისთანა ქალაქები თუ ეწინააღმდეგებიან სესხს, თვარა ქალაქი, რომელსაც უნდა თანამედროვე კულტურული სახე მიიღოს, ყოველ ზომას იღებს, რაც შეიძლება მეტი სესხი აიღოს. ქალაქის სიღარიბე, მცხოვრებთა გაჭივრება—ეს განა თვით შედეგი არ არის ცხოვრების მოუწყობლობის? ქალაქს რომ კარგი ტრამვაი, განათება და კანალიზაცია ჰქონდეს, განა ეს არ ასწევდა სახლების, მადაზიებისა და მიწების ფასს? სწორეთ იმიტომ არის საჭირო ქალაქის გაუმჯობესება, რომ მის მცხოვრებთ სიღარიბეში სული არ ხდებოდესთ და ამას ისე ვერაფერი შეუწყობს ხელს, როგორც ქალაქის საზოგადოებრივი თვითმართველობის მიერ განზრახული მუნიციპალური წარმოებანი.

ღმერთმა იცის, რით დაბოლოვდება ეს საქმეო—ბძანებს მოქალაქე. ასეთი შიში იქნება დიდათ საფუძვლიანი იყოს კერძო მწარმოებლისთვის, როცა მეურნეობას მიზნათ მარტო მოგება აქვს, ხოლო სრულიად უსაფუძვლოა ამ საქმეში, სადაც უმთავრესი მიზანი მოგება კი არა მცხოვრებთა ინტერესების დაკმაყოფილებაა. მოქალაქეს განსაკუთრებით კანალიზაცია ამოუღია მიზანში და ამბობს—თვით მოსკოვშიც არ არის განხორციელებულიო. ჯერ ერთი უნდა შევნიშნოთ ავტორს, რომ მოსკოვში კანალიზაცია დიდიხანია არსებობს, მხოლოდ შეიძლება განაპირა ქალაქის უბნებში არ იყოს ჯერ იგი გაყვანილი. და კიდეც რომ მართალი იყოს მოქალაქე, განა ეს საბუთია ქუთაისში კანალიზაციის წინააღმდეგ... თფილისში ტრამვაი გაკეთდა იმ დროს, როცა პეტერბურგში, მოსკოვსა და ოდესაში ჯერ კიდევ „კონკები" მუშაობდა. როცა თფილისის ქალაქის თვითმართველობა პირობას სდებდა ბელგიის საზოგადოებასთან, მაშინ რომ ვინმე ხმოსანი ამდგარიყო და ეთქვა ჯერ ეს პეტერბურგ-მოსკოვში არ არის და ჩვენც შევიცადოთო, რას იტყოდით ასეთ საქალაქო მოღვაწეზე? ადამიანმა უნდა ასწონ-დასწონოს ყოველი საქმე და უპირატესობა იმას მიანიჭოს, რომელიც აუცილებელიაო—ბძანებს მოქალაქე. და განა სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება აუცილებელი არ არის, განა მცხოვრებს ის არ უჯობს—სიბინძურის მორევიდან ამოვიდეს, ვიდრე ორი გროში გადაირჩინოს! ვინ იცის, რამდენათ მეტი ეხარჯება დღეს ქალაქს იმის გამო, რომ სიბინძურით ათასგვარი გადამდები ავათმყოფობა ვრცელდება, ჰაერი იწამლება, ზაფხულობით ქუთაისში ყოფნა შეუძლებელი ხდება. თვით კანალიზაცია გაცილებით მეტი წყლის დახარჯვას გამოიწვევს, ეს კი შემოსავალს წყალსადენიდან ერთიორათ გაზდის.

საშიში და სახიფათო არ არის-რა 23 ნოემბრისა და 2 დეკემბრის საბჭოს გადაწყვეტილებაში, ახლა მხოლოდ იმას უნდა ვეცადოთ, რომ მთავრობისაგან სესხის რეალიზაციის ნებართვა ავიღოთ.

## სახელმწიფო სათათბირო.

7 დეკემბრის სხდომა.

სხდომას როძიანკო თავჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა შორის არის შინაურ საქმეთა მინისტრის მიმართ განცხადება დეპუტატ ბადაევის დაჯარიმების გამო. არის აგრეთვე საზღვარგარეთის მოწმობის შესახებ საკანონმდებლო წინადადებაც. თავჯდომარე წინადადებას აძლევს სათათბიროს წევრთ ფეხზე ადგენ და ისე მოისმინონ დღეობის მილოცვის გამო უმაღლესი პასუხი. თავჯდომარე კითხულობს: „პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარეს. მადლობას მოვახსენებ სახელმწიფო სათათბიროს დღეობის მილოცვის გამო. ნიკოლოზი". გაისმა ვაშას ძახილი. იხილვენ სავაჭრო-სამრეწველო უფლებათა კანონპროექტს. მომხსენებელი სადაზკინი პროექტის შესახებ მოხსენებას კითხულობს. ეხება კრედიტის საქმეს და ამბობს: კრედიტერთა სიიდან უნდა გამოირიცხოს ის პირები, ვინც თავს იკოტრებენ. **გერასიმოვი** აღნიშნავს კანონპროექტის დიდ მნიშვნელობას. ორატორი ამბობს: სესხათ მიცემული ფულის გადაუხდელობის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლათ საჭიროა. კადეტები არ არიან წინააღმდეგი კანონპროექტის ძირითადი დებულებისა, თუმცა ვერ დაფარვენ იმასაც, რომ პროექტის განხორციელებას საქმის ძირითადი გაუმჯობესება არ შეუძლია. სესხის გადაუხდელობის გამო სასჯელი, რომელიც კანონპროექტშია აღნიშნული მიზანს ვერ მიაწევს. **როსტოვცევი** კანონპროექტის ძირითად მხარეებს აღნიშნავს. ეხება სრულიად რუსეთის ბირჟების წარმომადგენელთა კრებას. აღნიშნავს, რომ იქ დაადგინეს გადაუხდელობის წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნას მიღებული. ამბობს: გადაუხდელობა სესხის უდიდეს ბოროტებათ გადაიქცა. ეს სენი ძალიან გავრცელდა. წასულ წელს 170 მილიონი მანეთის სესხი არ გაანაღდეს. რამდენათ ადრე აედგმება ფეხი ფინანსიურ საქმეში სიყალბეს და რამდენათ ძლიერი იქნება სასჯელი ამ სიყალბისათვის, იმდენათ კარგი იქნება სავაჭრო-სამრეწველო საქმისთვის. ორატორს შესაფერისი ფორმულა შემოაქვს. კანონპროექტს კომისიისა და როსტოვცევის ფორმულებით ღებულობენ. **ზამისლოვსკი** კითხულობს მოხსენებას ალექსანდრე მეორის დროინდელი სასამართლო რეფორმის გამოცემის სასარგებლოთ ფულის გადადების შესახებ. **ეფრემოვი** აღნიშნავს, რომ სასამართლოს წესდებამ ამ ბრწყინვალე სულის ნაყოფმა ძლიერი ცუდი მდგომარეობა განიცადაო. ის წინააღმდეგია ამ წიგნის გამოცემაში ხალხის ფულის დახარჯვისა. **ეფრემოვს** მარცხნით ტაშს უკვრენ. მომხსენებელი **ზამისლოვსკი** ეფრემოვს უპასუხებს და ამბობს: შეუძლებელია ამ საქმის უცნობ ორატორს დავეთანხმოთო. **აჯემოვი** იზიარებს ეფრემოვის აზრს. ის ამბობს: იმის ნათელსაყოფათ, რომ სასამართლომ დამოუკიდებლობა დაკარგა, კიევის პროცესი საკმაოა. **მასლენიკოვი** აცხადებს: ამ საგნის შესახებ პროგრესისტთა აზრი მომხსენებელმა ვერ შეარყია, ვინაიდან იუსტიციის მინისტრს არ შეუძლია ამ სასამართლო წესდებათა ისტორიის ობიექტიურათ დაწერა და ამავე დროს იმ პირთა მხარეზე დგომა, რომლებმაც ეს წესდებები გააუქმესო. **კერენსკის** ვერ გაუგია, როგორ შეიძლებენ იუსტიციის სამინისტროს წვრილი მოხელეები მათ უფროსთა მოღვაწეობის ისტორიის დაწერას, როდესაც იციან რუსული მართლმსაჯულების პროცესი მეორე სათათბიროს ესდეკთა ფრაქციის გასამართლების საქმეში. იციან აგრეთვე ლიჟინის საქმის გამოძიების შედეგი, კიევის საქმე და სხვა. ამ მართლმსაჯულების საფლავის გამთხრელებმა თვით უნდა აგონ პასუხი სასამართლოს წესდების წინაშე (ძლიერი ხმაურობა მარჯვნით, ტაშის ცემა მარცხნით). თავჯდომარე კერენსკის წესიერებისაკენ მოუწოდებს. სთხოვს, გამოთქმაში მეტი სიფრთხილე დაიცავიო. **მარკოვი** მეორე ამბობს: კიევის პროცესს მოთმინებიდან გამოყავს ისინი, ვინც დაიცვეს იუშჩინსკის მკვლელები (მარცხნით ხმაურობა). **კერენსკი** თავის ადგილიდან ამბობს: თქვენ მკვლელის დამცველი ხართ. **მარკოვი მეორე**: თქვენ მოკალით და არა მე (მარცხნით და მარჯვნით ძლიერი ხმაურობა). მარცხნიდან ყვირიან: სისხლის მსმელო, გადი აქიდან არ მოგცემთ ლაპარაკის ნებას. თავჯდომარე კერენსკის მოუწოდებს წესიერება დაიცვას. კერენსკი თავის ადგილიდან: გამომრიცხეთ! თავჯდომარე: იძულებული ვიქნები თქვენს წინააღმდეგ უმაღლესი სასჯელი მივიღო. დარბაზში ხმაურობაა. დარბაზში სიწყნარე ჩამოვარდება. თავჯდომარე მარკოვ მეორეს მიმართავს: გამოთქმაში სიფრთხილე დაიცავი. პირველ გაფრთხილებას გაძლევ, მეორეჯერ უფრო სასტიკ ზომას მივიღებ.

**მარკოვი** მეორე განაგრძობს. თავჯდომარე მას კიდევ აძლევს შენიშვნას. მარკოვი თავის სიტყვას ასე ასრულებს. არ ალაპარაკებთ მათ, ვინც თქვენ არ გეთანხმებათ. სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ მიდიხართ. ებრაელთა სასარგებლოთ ყოველგვარ თავისუფლებას არღვევთ. (ტაშის ცემა მარჯვნით). სათათბირომ დაადგინა, 110 ხმით წინააღმდეგ 91 ხმისა, პროექტი მუხლობრივ განიხილონ, კანონპროექტს ამავე სხდომაზე ღებულობენ, იხილვენ შეკითხვას მუშათა დაპატიმრებისა და გადასახლების შესახებ. **შეტროვსკი** მხარს უჭერს შეკითხვის სისწრაფეს. კენჭის ყრის დროს გამოირკვა, რომ სათათბიროში დეპუტატთა საკმაო რიცხვი არ არის. თავჯდომარე აქვეყნებს უმაღლეს ბძანებას სათათბიროს სხდომების შეწყვეტის შესახებ. სხდომა იხურება.

## დღიური.

ბუქარესტში სოც.-დემოკრატთა კრებაზე ებრაელთა საკითხის გარჩევის დროს შეტაკება მოხდა და ოთხმოცი კაცი დაიჭრა.

— გალიციის მოსაზღვრე ადგილებში ამოაჩინეს ჯაშუშთა ორგანიზაცია.

— ოსმალეთმა გადასწყვიტა, რაც შეიძლება დაჩქარებით განახორციელოს სამხედრო რეფორმები.

— ოსმალეთ-რუსეთს შორის დამოკიდებულება გერმანიის სამხედრო მისიის საკითხში ძალიან გამწვავდა.

— პორტუგალიაში მონარქისტები არეულობას ახდენენ.

— პეტერბურგში დეპუტატ ბადაევის დაჯარიმების გამო საპროტესტო გაფიცვები მოახდინეს.

— ენვერ-ბეი ბერლინში ოსმალეთის ელჩათ დაინიშნა.

## ახალი ამბავი.

✦ როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ ფინანსთა სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით განზრახული სააქციონერო საზოგადოება მეღვინობისა ქუთაისის გუბერნიაში. აქციების განაღდებას თურმე რუსეთის ერთ-ერთი ბანკი კისრულობს, რომელიც ბატონ ნიკოლაძეს მილიონნახევარ მანეთს აძლევს საქმის მოსაწყობათ. ამბობენ, ნ. ნიკოლაძე გაზაფხულიდანვე შეუდგება ქუთაისში დიდი სარდაფის აშენებას, მთავარ ხელმძღვანელათ მოიწვევს ერთ-ერთ პროფესორს და სხ. საზოგადოებას სარდაფი ქუთაისის რომელიმე განაპირა ადგილზე ექნება, მთავარი კანტორა კი შუაგულ ქუთაისში.

✦ ორშაბათს, ღამით ქუთაისში დიდი ჩხრეკა და დაპატიმრება მოხდა. გაჩხრიკეს გაზეთი „სიტყვის" რედაქცია. დაპატიმრებულია ნაფიცი ვექილის თანაშემწე გრ. გიორგაძე, პოეტი ვარლამ რუხაძე, ვ. [ქ]ალაქიაშვილი, ი. რუხაძე, ი. ბახტაძე, თ. ჟღენტი, ცაცა დარახველიძის ასული, ნოქარი მ. ბერიშვილი და სხ.

✦ გუშინ ოლქის სასამართლომ გაარჩია მიქაშავიძისა და ლო[?]იას საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ 1912 წელს 13 აგვისტოს თავდასხმა საჯავახოდან ჩოხატაურში მიმავალ ეტლებზე და ძნელაძის, დოლიძის, თავბერიძის, თავართქილაძისა და მაღლ[?]არიას გაცარცვა. ბრალდებულთაგან, რომელიც მხოლოდ მიქაშავიძეა ცოცხალი, სასამართლომ გაამართლა, დოლიძე ციხეში გადაიცვალა.

✦ გუშინ ქუთ. ოლქის სასამართლოს თავჯდომარე, რომელიც უნდა დასწრებოდა ბათომში ქუთ. ოლქის სასამართლოს სესიის მიერ საქმის გარჩევას, ბათომს ვეღარ წავიდა.

✦ ქუთაისის ბაზარზე ფქვილის ფასმა ისევ აიწია. ფუთი ფასობს 1 მან. და ექვს შაურათ.

✦ ქუთაისში მცხოვრებმა სერგო ლუკას ძე გერსამიამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე რათა მას ნება დართოს თავის რედაქტორობით გამოსცეს ქუთაისში ყოველდღიური ქართული გაზეთი „ჩვენი ერი".

✦ სოფ. ზარათში ცოფიან ძაღლს დაუკბენია გლეხის ონისიმე ცნობილაძის ბავში, რომელიც თფილისს გაუგზავნიათ.

✦ კავკასიის სამთო სამართველომ კ. მასხარაშვილს ნება დართო სოფ. მღვიმევში ბალაროები გამართოს.

✦ თფილისის მეცხრე უბნის ბოქაულს ლევაშოვს ახალ-სენაკის მაზრის უფროსათ ნიშნვენ.

✦ ორშაბათს, 9 დეკემბერს, ქუთაისში თოვა დაიწყო და შავადღემდი არ შეწყვეტილა. მოთოვა ნახევარ არშინზე მეტი.

✦ ორშაბათს საღამოს დ. სამტრედიაში დიდი ჩხრეკა ყოფილა, დაპატიმრებით არავინ დაუპატიმრებიათ.

✦ ევგენი ბოკერია ოჩემჩირის მომრიგებელი სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის ამასრულებლათ დაინიშნა.

✦ თოვლის გამო სანოვაგისა და შეშის ფასმა ერთიორათ აიწია.

✦ ქუთაისის მეეტლენი მოულოდნელათ თოვლის მოსვლას მომზადებული ვერ დახვდენ. ეტლი აღარ მუშაობს, მარხილთა რიცხვი კი ცოტაა და ამნაირათ მიმოსვლა სჭირს.

✦ მივიღეთ საყმაწვილო ჟურნალი ჯეჯილის მე-11 წიგნი, რომელშიც, სხვათაშორის, მოთხრობაა ეკ. გაბაშვილისა, ლექსი მღვიმელისა, ზღაპარი ი. მჭედლიშვილისა და სხვ.

### თფილისი

ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება 20 დეკემბერს მართავს სალიტერატურო-სამუსიკო საღამოს. სხვათაშორის მოხდება შეჯიბრება პოეტებისა, რომელთაგანაც პირველ ხარისხოვანი ლექსის ავტორი მიიღებს ზიჩისაგან დასურათებულს შოთას „ვეფხის-ტყაოსანს", ხოლო მეორე ხარისხოვანი ლექსის ავტორი ილია ჭავჭავაძის ახალ გამოცემას. ამიტომ საზოგადოება დაბეჯითებით სთხოვს ჩვენს ახალგაზდა პოეტებს გამოგზავნონ ლექსები ამ ადრესით: Тифлисъ, Гунибская ул. № 43, გ. ჟორდანიას. ოღონდ ორი კონვერტი უნდა იყოს თითოეული პირისგან: ერთში ჩასდვას ლექსი გვარმოუწერლათ და მეორეში თავისი გვარი ჩასწეროს, ზევიდან ორივე კონვერტს დააწეროს ერთნაირი სახელი (დევიზი) და აღნიშნოს ისიც, თუ რომელში დევს გვარი, და რომელში ლექსი. უნდა გამოიგზავნოს 18 დეკემბრამდი.

✦ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ სექციების წევრებათ, თანახმათ, წარსულ კრებაზე მიღებული ინსტრუქციისა, აირჩია: საშკოლო სექციაში—ლ. ბოცვაძე (თავჯდომარეთ და ფ. მგელაძე, საგამომცემლო სექციაში—არ. ჯაჯანაშვილი (თავჯდომარეთ) და შალვა მიქელაძე, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების სექციაში—შიო დედაბრიშვილი (თავჯდომარეთ და იპ. ვართაგავა, სამუზეუმო სექციაში—დავით კრიჭაშვილი (თავჯდომარეთ) და სერგო გორგაძე.

## შეეწიეთ!

დიდი და წარმოუდგენელი უბედურობა დატრიალდა დაბა ლაილაშში. ორასი კომლი მოსახლე უსახლ-კაროთ დასტოვა ცეცხლმა. ათას სულზე მეტი ებრაელი ამ ზამთარში უბინაოთ, ულუკმაპუროთ დარჩა...

ცეცხლმა შეიწირა ამათი ბინა და სარჩო-საბადებელიც მნახველნი გულის ამღვრევ სურათად აგვიწერენ საწყლად დარჩენილთ ებრაელების მდგომარეობას. დაუყონებლივ შემწეობა სჭირიათ მათ და მოვუწოდებთ ყველას, ვისაც რა მოეხერხება, ვისაც რით შეუძლია, ნუ დაიზარებს ამ გაჭივრებული ხალხის ხელის გამართვას.

შემწეობა დამწვართ, შემწეობა ამ ზამთრის დღეს უბინაოთ დარჩენილთ, ღია ცას ქვეშ დაყრილთ, მშიერთ და უსასოოთ.

## იაფ-ფასიანი წარმოდგენები.

ეს ერთი ხანია, რაკი თფილისის დრამატიული დასის წყალობას მოვწყდით, ქუთაისში იაფ-ფასიანი წარმოდგენები იმართება. ხალხს იზიდავს ეს წარმოდგენები, თეატრი თითქმის სულ მუდამ გაჭედილია მაყურებლებით... ორ წყებათ

იმართება ასეთი წარმოდგენები. რიგს თაოსნობს სახალხო უნივერსიტეტის სათეატრო სექცია და მეორეს—სცენის მოყვარენი დ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით. ადრეც გამოვსთქვით ჩვენი აზრი და ახლაც იგივე უნდა გავიმეოროთ, რომ ასეთ წარმოდგენებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. პირველი ის, რომ უხეირხულად ვსთვლით ამ ორ წყება წარმოდგენების მართვას. რაკი სახალხო უნივერსიტეტმა იკისრა იაფ-ფასიანი წარმოდგენების მოწყობა, ისეც მცირე მოთამაშე სცენის მოყვარეების განაწილება და ცალკე წარმოდგენების მართვა არც საჭირო და საქმესაც აფერხებს. აქაო და იაფფასიანია, ხალხი ხალისით მიდისო, ყველამ რო ასეთი წარმოდგენები მართოს, თვით საქმეს რა ხეირი დაეყრება. მერე კიდევ ისეც სუსტი ძალების დაქსაქსვა, გაყოფვა სრულიად სასურველი არაა და საზარალოა იმ ხალხისთვის, რომელიც ამ წარმოდგენებს ეტანება. რამდენიმე წარმოდგენას დავესწარით და შეგვიძლია დავამოწმოთ, რომ სასურველ გავლენას ვერ ახდენენ ისინი მაყურებლებზე.

ამის ნიშანია, სხვათაშორის, ისიც, რომ დარბაზში თვით მოქმედების დროსაც აუწერელი ღრიანცელია, ქანდარაცა და პარტერიც ვერ დაუტყვევებია წარმოდგენის სვლას, მოთამაშეთა თამაშს, გულდასმით არვინ ისმენს პიესას. ეს უპირველესი მაჩვენებელია იმისა, რომ სუსტია წარმოდგენა, სუსტია, ხალხისთვის შეუფერებელი პიესა, სუსტი არიან თვით წარმომდგენელნი. და ამ სუსტი ძალების კიდევ ორათ გაყოფა ორ ზომა დანაშაულობაა. ჩვენის ფიქრით, ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ, როგორც თეატრის საქმის სათავეში მდგომმა და მისმა მესვეურმა, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას, თეატრის ქირათ აღებულმა ორიოდე გროშმა არ უნდა მოხიბლოს და ქართული წარმოდგენების წარმატებისთვის, ყველას არ უნდა დაუთმოს თეატრის დარბაზი. და უკეთუ ასეთი უფლება არა აქვს დრამატიულ საზოგადოებას, იგი უნდა მოიპოოს... უამისოთ კი რისი თაოსანი და გამგე უნდა იყოს იგი ამ ჩვენი ეროვნული დიდი საქმისა.

**დ. მესხი.**

## პაწია ფელეტონი.

არ ვიცი, ღმერთმანი, რატომ შეიძულეს ჩვენმა პოეტებმა ფული, რომლის მოძულე ადამიანსაც დღესდღეობით ქვეყანაზე ვერ იპოვით და, მგონი, არც წინათ ყოფილა სადმე!

თვით ჩვენმა ბუმბერაზმა პოეტმა ამ უკანასკნელ დროს ნამეტანი აითვალწუნა ეგ „ჯოჯოხეთის ნაჭედი“ ლითონი.

„თემის“ ერთ ნუმერში ისე გალექსა ფული, ისე მოჯაყა ეგ ქვეყნის წალმაუკუღმა მატრიალებელი მანქანა, რომ ვისაც აკაკის რამე სწამს, მგონია პოეტის პატივისცემით, ფულს სათოფეზეც არ მიეკარება და გველივით შეიზიზღებს მას.

მაგრამ, მოგეხსენებათ, თანამედროვე საზოგადოებას პოეტის წინდახედულება და წინასწარმეტყველება არაფრათ ებრიანება, რადგანაც მგოსნის შორსმჭვრეტელობას უბრალო მომაკვდავი, რომელიც დღიური ინტერესითა და ჭირ-ვარამით ცხოვრობს, ვერაოდეს ვერ მისწვდება.

როგორ უნდა სთქვას ჩემმა ცოდვილმა პირმა, თვარა უფრო კარგს ინებებდა დიდებული მგოსანი, რომ ქართველების ახლანდელ ალღოსა და პსიხიკაზე მოეჭრა თვისი „ფულის ბუგი.“

ამიტომ დიდი მოკრძალებით შევეხე დიდებული მგოსნის ქმნილების და თანამედროვე ქართველთა მსოფლმხედველობისა და განუყრელი ჩვეულების გემოზე გადმოვაუკუღმართე წალმართად ქმნილი ლექსი:

> ფულო, ბანკების ნაჭედო,
> მადანო ქართველებისო,
> მომიახლოვდი,—სიტკბოთი
> ვერა-რა შეგედრებისო.
> ქვეყნიერება თაყვანსგცემს
> და შენი მაძებარია;
> შენთვის სულს დალევს ყოველი,
> შენთვისვე მაყეფარია.
> ვიდრე სხვისი ხარ, მიყვარხარ;
> ჩემათ იქცევი—მტერივით
> შინ აღარ გაძლევ ბინასა,
> გფანტავ და გფანტავ მტვერივით.
> ვიცი, ვინცა ხარ, რა ძალაც
> ცხოვრებათ გადაქცეული:
> ბანკის კრებაზე რეტს მასხამ,
> მახესა მიგებ წყეული!
> ჯიბიდან გამეპარები
> ქებაძის მოსალხენათა,
> ბანქოს ამირევ-დამირევ,
> ნათელს მიჩვენებ ბნელათა...
> ხელიდან ისე მიქრები,
> ვითა სიზმარი წამისა...
> ვერა გავიგე შენი მე
> ანგარიშების, ჯამისა.
> უშენოთ მაინც ტყვილია
> ოფლის ღვრა, სწორი სწორისო,
> თავისუფლება, ერთობა
> და ძმობა ერთა შორისო...

**მეგობარი.**

## რაჭის გზებზე.

ხშირათ გაისმის საყვედური რაჭველი მუშტრებისა—რაჭაში ყოველგვარი საქონელი ძვირათ იყიდებაო. კიდევაც აქვთ საბუთი ასეთი საყვედურისა. მხოლოდ არ შეგვიძლია ასე უყურადღებოთ დავსტოვოთ ეს გარემოება და არ აღვნიშნოთ მიზეზი რაჭაში გასაყიდი საქონლის სიძვირისა. რაჭას მიუდის ქ. ქუთაისისკენ მხოლოდ ორი გზა. ერთი გზა წესიდან მიდის ნაქარალას მთისკენ, და მეორე კი ლეჩხუმისკენ, ოსეთის სამხედრო გზათ წოდებული. უკანასკნელი გზა-ტკეცილია, ადგიან ინჟინერი და გზის ოსტატები. მიუხედავათ ამდენი მზრუნველისა ორივე გზა ისეთ მდგომარეობაშია—ცუდი ტაროსის დროს ურმის ან ეტლის ყევარი ცხენებითაც უჭირთ გამოთრევა. ავიღოთ მაგალითად სოფ. წესსა და ჭრებალოს შუა გზა. ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია, სამ ვერსზე ისეთი ტალახი დგას, რომ უბედური მეურმეები დაშლიან ხოლმე ურმებს და ბეჭით ეზიდებიან ურმის ტვირთს. ცუდი ტაროსის დროს, მეურმეები ფუთ საქონელზე 10 შაურსა და 3 აბაზს იღებენ. მარილი ქუთაისში 33 კაპ. ფასობს და მოსატანი კი 10 შაური უნდა გადაიხადოს კაცმა! ასეა სხვა საქონლის საქმეც. მეურმეს თუ ვუსაყვედურებთ ამ ზედმეტი ქირის თაობაზე, ისინი სამართლიანათ გეტყვიან: გზა-კვალი თქვენ არ გაგიჩნიათ და ქუთაისში კი ორ-ორი მანეთით გვბეგრავენ და ჩვენ საიდან მივცეთ ეს ფული, თუ არ ავიღეთ ზედმეტი ქირა საქონლის პატრონიდანო. ეს ამბავი მე არ მჯეროდა სანამ ჩემი თვალით არ ვნახე. აბა იმას როგორ დავიჯერებდი—შიგ შუაგულ ქალაქში თუ ასე უღმერთოდ ტყავს გააძრობდენ საწყალ მეურმეებს ორი ჩუმი არსენა ოძელაშვილები, ვინმე ფ. მეგრელიშვილი და ტურია ურია. ამას წინათ ქუთაისში მომიხდა ჩასვლა, დამჭირდა და ორი ურემი ხაბაკი გამოვგზავნე ქუთაისიდან რაჭას. მეურმეებს ქირაზე თვით გავურიგდი, ფილიპე და ტურია აღარ დამჭირებია. ფილიპეს ვსთხოვე, ნავთი გაეგზავნა ჩემთვის რაჭაში და მის ნოქარს გადავეცი 20 მანეთი, მე კი თფილისს მომიხდა წასვლა. წარმოიდგინეთ, ბ. ფილიპე იმ ზომათ გაჯავრდა—რატომ მე არ ჩამიყარე მეურმეები ხელშიო,—აღარც ფული დამიბრუნა უკან და სასტიკი მუქარაც დამაყოლა:—წადი ახლა და ვინც შენი საქონელი წაიღო, იმას სთხოვე შენი ოცი მანეთიო. ახლა კი გავიგე, საცოდავი მეურმეების ჩივილი მართალი იყო. დიახ, ქალაქში ასეთი უსამართლობა ტრიალობს და მიმხედავი არვინაა.

**რაჭველი მაკვდიერი.**

## მხეცი ქმარი.

პარასკევს, 6 დეკემბერს, შემთხვევით გავიარე ლევაშოვის ქუჩაზე. კახოევის ეზოსთან შევამჩნიე ხალხის გროვა; ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა, მივუახლოვდი ჯგუფს და ჩემს თვალს შემდეგი სურათი წარმოუდგა: ხალხის შუაგულში იდგა ცხარე ცრემლით მტირალი დედაკაცი; სახეზე მწარე ტანჯვა ეხატებოდა და კონკებში გამოხვეული ფეხშიშველი ცახცახობდა და კანკალობდა. ვკითხე მისი ვინაობა, აღმოჩნდა ვინმე ფ...ძის ცოლი. ქმარს სასტიკათ ეცემა და სახლიდან გამოეგდო, დედაკაცს ოთხი შვილი ყოლია, ერთი მათგანი პაწაწა ბავში დედას მიკვროდა და იგიც მწარეთ ტიროდა. საბრალო დედაშვილს კეთილი მეზობელი გამოუჩნდა, რომელმაც დროებით ოჯახში შეაფარებია თავი. როგორც გამოირკვა, ეს პირველი მაგალითი არ ყოფილა მხეცი ქმრისაგან ცოლის ასე მკაცრათ მოპყრობის, იგი ხელობით მებაღე ყოფილა. რამდენჯერმე ქმრისაგან შეურაცხყოფილსა და ნაწამებ ცოლს თავის მოკვლაც განუზრახავს, მაგრამ შემთხვევით მეზობლებს დაუხსნიათ ხოლმე საბრალო ქალი სიკვდილისაგან...

**შემთხვევით გამვლელი.**

## ქალაქის საბჭოს სხდომა.

9 დეკემბერს მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა. ამ სხდომაზე უნდა საბოლოოთ გადაწყვეტილიყო პეტერბურგის საკომისიონერო საზოგადოებასთან პირობით შეკვრა. საბჭოს გამგეობისათვის უნდა მიეცა რწმუნება ზემოხსენებულ საზოგადოებასთან პირობაზე ხელის მოწერისა. მაგრამ ხმოსანთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა. ამ საკითხის გადასაწყვეტათ საჭირო იყო 22 ხმოსანი, სხდომაზე კი მარტო ოცმა შეიყარა თავი. ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა საბჭოს სხვა წვრილმანი საკითხები გაერჩიათ. კვლავ ჩამოვარდა ლაპარაკი წყალსადენის შესახებ. **ხმ. ნასარიძემ** სთქვა: მე საკითხი დაწვრილებით შევისწავლეო. წყალი შესაძლებელია შორიდან ან ხარისთვალიდან გამოვიყვანოთ. დიდ ხარჯებს არ მოითხოვს, რადგან წყალი მაღლობიდან თავისით წამოვა. რიონის წყალით რომ ვისარგებლოთ, საჭიროა დიდი მანქანების დადგმაო. **ხმ. ქორქაშვილი** ამბობს: რაც ბ. ნასარიძემ სთქვა, ეს წყალსადენის საკითხის შესწავლას არ ამტკიცებს. მას ეს საკითხი არქეოლოგიურის მხრით შეუსწავლიაო.

**ხმ. ბარათაშვილი:** მე დიდათ გამახარა ნასარიძის განცხადებამ. მეგონა, მართლა ზედმიწევნით გაცნობია ამ საქმეს, მაგრამ მისი სიტყვიდან დავრწმუნდი, რომ ეგ მხოლოთ საქმის წარმოებას გაცნობია და არა საკითხსო. ვეკითხებით ოდესმე წმინდა წყალს თუ არა?

**ს. მიქელაძე** (ადგილიდან): ვერაოდეს? ხმოსნების ერთმანეთთან გამობაასების შემდეგ, ქალაქის მოურავი შეუდგა სხვადასხვა ფირმისა და კერძო პირების წინადადებების კითხვას. უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენენ წინადადებათა ავტორნი. ზოგი ინგლისის კაპიტალისტთა რწმუნებულს უწოდებს თავის თავს, სხვა კიდევ მეტათ სერიოზულ სააქციონერო საზოგადოების წარმომადგენელს. ყველა გვპირდება ტრამვაისა და წყალსადენს კი არა, ვინ იცის რას. მაგრამ არსებითი განხილვის ღირსი წინადადება არც ერთი არ არის, რაღაც ხლესტაკოვშჩინის სუნი ტრიალობს. ქუთაისის ძველი ნაცნობი ინჟ. მიხაილოვი იმუქრება—თუ ჩემთან მშვიდობიანათ არ გაათავებთ საქმეს, გიჩივლებთო. ამის შესახებ ცნობილ იურისტებს მოველაპარაკე და ეჭვი არ არის საქმე თქვენთვის სამწუხაროთ და ჩემს სასარგებლოთ გადასწყდება, მაგრამ რადგან არ მინდა ქალაქი ჩავაყენო ცუდ მდგომარეობაში, გირჩევთ საქმე მორიგებით გავათაოთ და პასუხიც მომცეთო. ამაზე საბჭომ დაადგინა, დასტოვოს უყურადღებოთ მიხაილოვის მუქარა, თუმცა ხმოსანი ნასარიძე დიდ ქომაგობას უწევდა მას და ყველას სხვას ვინც ქალაქის გამგეობაზე რამე ცუდს იტყოდა. სხვადასხვა წინადადების კითხვის დროს ნასარიძემ მოითხოვა ცინცაძის წინადადებაც წაეკითხათ, რომლის შესახებაც ზაფხულზე ხმოსნებს ქონიათ კერძო თათბირი, და რადგან მაშინ კანცელ-დადიანთან ხელშეკრულობა არ ყოფილა დარღვეული არსებითად განხილვას ვერ შესდგომიან. ქალაქის მოურავს დეპეშით უცნობებია მისთვის თათბირის პასუხი, მაგრამ ამით ინჟინერი არ დაკმაყოფილებულა, მან საკითხი პრესაში გადაიტანა. ეს ერთი ხანია დროგამოშვებით, ფურცლებს ურიგებს ხმოსნებს, სადაც „შესაფერისის ზღილობით“ იხსენიებს ქალაქის მოურავს.

საერთოდ ამ ფურცლებს მიზნათ აქვს—ეჭვი დაბადოს ქალაქის მოურავის მოქმედების შესახებ. სანამ ასეთი ფურცლები მარტო ხმოსნებს ურიგდებოდა, მას არავინ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ეს აღარ უკმარია ბ-ნ ინჟინერს და გუბერნატორისთვის მიუცია თხოვნა, აიძულეთ ქალაქის საბჭო, რომ ჩემი წინადადება განიხილოსო. ეს ქაღალდი ისეა შედგენილი, რომ ჩირქს სცხებს ქალაქის წარმომადგენლის სახელს. გუშინ იგი გააცნეს ქალაქის ხმოსნებს. ყველა ააშფოთა მისმა შინაარსმა და მოითხოვეს ამის შესახებ დადგენილება გამოეტანა საბჭოს. ცინცაძე აბეზღებს ქალაქის მოურავს გუბერნატორთან. მას სურს არა სასურველი კონკურენტები თავიდან მოიცილოს მინკოვსკის სასარგებლოთ. ამის გამო გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, ინჟინერი ცინცაძის წინადადება განეხილეთ და შედეგი მაცნობეთო. წაიკითხეს ეს წინადადებაც. არსებითად მისი განხილვა არავინ მოისურვა. ს. მიქელაძემ განაცხადა: ცინცაძის საქციელი ჩირქსა სცხებს ქალაქის წარმომადგენელს. საბჭომ ამის შესახებ თავისი აზრი უნდა გამოსთქვასო. ბ. ჩიქოვანი თავს ანებებს თავჯდომარეობას. მის ადგილს იჭერს ს. მიქელაძე. მცირე თათბირს შემდეგ, საბჭო ადგენს: ნდობა გამოეცხადოს ქალაქის მოურავს და დაკმაყოფილდეს მისი განმარტებით. ცინცაძის საქციელის შესახებ საბჭო მწუხარებას გამოსთქვამს, დაადგინეს აგრეთვე ინჟინერი ცინცაძე ზემო აღნიშნული საქციელის გამო გამორიცხულ იქნას კონკურენტთა სიიდან. ქალაქის თვითმართველობას არ სურს სერიოზული დამოკიდებულება იქონიოს ისეთ პირთან, როგორიცაა ცინცაძე. დიდი უმრავლესობა კმაყოფილი დარჩა ამ დადგენილებით, მხოლოდ ხმ. ნასარიძე ამართლებდა ცინცაძის მოქმედებას. მან სთქვა, ქალაქის გამგეობამ ცინცაძე გააბრაზა და იმიტომ მიმართა გუბერნატორის დახმარებასო.

## თეატრი და ხელოვნება.

### ქუთაისის თეატრი.

კვირას, 8 დეკემბერს, სცენის მოყვარეთა მიერ დ. ჩარკვიანის მონაწილეობით წარმოადგინეს ,,და-ძმა“ პიესა ვ. გუნიასი. პიესამ საერთოდ ძალიან მკრთალათ ჩაიარა. ძალზე სუსტი იყო ილია ბახტაძე ოტია ჯოლიას როლში, როლი იცოდა მაგრამ მისი მიმიკა, მიხვრა მოხვრა და სხ. ზოგჯერ შეუსაბამო და უადგილო იყო. არა უშავდა რა გ. ჩარკვიანს ადამიას როლში. პატარა ცაცასი მარინეს როლში გამოყვანა რეჟისორის მიუტევებელ დანაშაულათ უნდა ჩაითვალოს. კარგი იყო თვით დ. ჩარკვიანი. ანსამბლს ხელს უწყობდა ვ. აბულაძეც. საჭიროა, სცენისმოყვარენი უფრო მეტის დაკვირვებით მოეპყრობოდენ დაკისრებულ როლებს

**დიქს.**

## დაბა-სოფლები

**ს. ითხვისი** (ზემო-იმერეთი). აქ არსებობს ერთკლასიანი სამრევლო შკოლა, რომლის წარსულს, აწმყოსა და მომავალზე მინდა მივაქციო შავიქვის მრეწველთა და საეპარქიო საბჭოების ყურადღება. აქ ცხოვრობს 400-მდი მეკომური გლეხი და აზნაური, რომელთაგანაც 500 მეტი მუშა მუშაობს სხვადასხვა ზავოდსა და მაღაროში. გონებრივათ აქაური მცხოვრებნი, როგორც დაახლოებულნი დაბა ჭიათურაზე შედარებით მაღლა სდგანან. თუ რამდენათ ელტვიან სწავლა-განათლებას—ეს იქიდან ჩანს, რომ ამ სოფლის შვილებს 30-ზე მეტს უმაღლესი და საშვალო სასწავლებელნი აქვთ დასრულებული. ზაფხულობით აქ თავს იყრის ბევრი ნასწავლი ახალგაზდა და მოსამსახურე პირი, საავარაკოთ მოსული, რომელნიც საზოგადოთ ამ სოფლის წარმატებისათვის ნაკლებათ ზრუნავენ. როგორც ზემოთ მოვიხსენე, აქ არსებობს სამრევლო შკოლა, რომლის შენობაც საზოგადოებას დაუჯდა 2,500 მანეთად. მასწავლებლებათ დღემდი აქ საშვალო სწავლა დასრულებულებს ნიშნავდენ, და სწავლაც რიგიანათ მიმდინარეობდა მათი მეცადინობით. ჩემი სურვილი იყო, ეს შკოლა გადამეკეთებია ორკლასიანათ; ამაზე მრევლმაც თანხმობა გამომიცხადა, მაგრამ ამავე დროს ქორეთის საზოგადოებას, რომელშიც სოფ. ითხვისიც შედის, გამოუცხადეს, ამ საზოგადოების ერთკლასიანი სამინისტრო შკოლა ორკლასიანათ გადაეკეთებიათ და შესაფერი შენობაც აეგოთ მისთვის; მიუხედავათ, იმისა, რომ ითხვისელებმა უარი განაცხადეს, რადგან მათ საკუთარ შკოლაზე უნდა ეზრუნათ, მაინც იძულებულიყვეს შენობის სასარგებლოთ გადაეხადათ ფული. თითოეულ მეკომურს გადახდა 7—10 მანეთამდი. ვინაიდან სოფელს ზედმეტი ხარჯი დააწვა, მოხსენება გავგზავნე საეპარქიო საბჭოში და ვსთხოვდი—ითხვისელები გეთავისუფლებიათ სამინისტრო შკოლის ხარჯებისაგან, რადგანაც მათ სამრევლო შკოლა ქონდათ გახსნილი და შესაფერ ხარჯსაც ეწეოდენ.

20 ივლისს მდგომარე წლისა მოიყარა თავი ითხვისის მრევლმა და ითათბირა შკოლის შესახებ. ვინაიდან სოფ. ითხვისი შედის შავიქვის მრეწველთა საბჭოს რაიონში, საბჭოს ორმა წევრმა მიმართა საზოგადოებას წინადადებით:—თუ სოფელი შკოლის შენობასა და ადგილს დაუთმობს საბჭოს, [illegible] საბჭო 3 მასწავლებლის ჯამაგირს, 60 მანეთს თითოეულს, შენობის [illegible]ბასა, მოსამსახურის ჯამაგირსა და სხვა ყოველგვარ საშკოლო ხარჯს იკისრებსო. ასეთი წინადადება საბჭოს ორი წევრისა, მრევლს სასიამოვნოთ დარჩა და შესაფერი განჩინებაც დაადგინა, მაგრამ დღემდი ამითაც არა გაკეთებულა. დღეს შკოლა უნუგეშო მდგომარეობაშია. საშკოლო დგამი უვარგისია, თითო პარტაზე ოთხი ბავში ზის, შენობას მუშები დამტვრეული აქვს და ქარი თავისუფლათ დაქრიალობს; ადგილობრივ მკვიდრთა ბავშები გარეშე სოფლების შკოლებშია მოთავსებული. საეპარქიო საბჭომ არც თვით მოუარა შკოლას და არც შავიქვის მრეწველთა საბჭოს დაანებაო—ისმის ხალხში საყვედური.

ჩემის დაკვირვებითა და გამოცდილებით, თუ საეპარქიო და შავიქვის მრეწველთა საბჭოებს ამ სოფლის კეთილდღეობა სურთ, საჭიროა ჯიბრს თავი დაანებონ და ერთმა სავაჟო სასწავლებელი გახსნას სამეურნეო განყოფილებით და მეორემ—საქალო სასწავლებელი პროფესიონალური განყოფილებით. მოსწავლე ბავშთა რიცხვი ორივესთვის საკმარისი იქნება და სოფელსაც შესამჩნევი წარმატება დაეტყობა მათი შეთანხმებული მოქმედებით, უკიდურეს შემთხვევაში, თუ ასეთი შეთანხმება არ მოხდება, მაშინ იმან დაუთმოს მეორეს, რომელსაც მეტი უნარი და მატერიალური მდგომარეობა ხელს უწყობს საქმის სასურველათ წარმოებისვის.

**დეკან. ი. წერეთელი.**

---

**აჭარის საზოგადოება** (ლეჩხუმი). ჩვენს მხარეში სხვა მოწინავე საზოგადოებას არც აჭარის საზოგადოება ჩამორჩა. თითო-ოროლა შეგნებული პირის წყალობით ამ საზოგადოებაში გვაქვს დღეს სამკითხველო, დაარსდა წვრილი კრედიტის ამხანაგობა და გაიხსნა ფოშტა სასოფლო სამართველოში; შეიძლება ფულის მიღება და გაგზავნაც ორას მანეთამდი, მიღება და გაიგზავნება სხვა ნივთიც; გვექნება ყოველნაირი მარკა და ღერბის ქაღალდი. ასეთი ფოშტის დაარსება საზოგადოებას არავითარი ხარჯის გაღებას არ ავალებს და არც მომავალში მოელის, რადგანაც ყოველივე ხარჯს ამ საქმიდან გამოწვეულს მთავრობა კისრულობს.

ამ დღეებში ჩვენი საზოგადოების მცხოვრებთ ყრილობაზე, სხვათა შორის, გამოუცხადეს—მთავრობას გადაუწყვეტია ხალხს დახმარება აღმოუჩინოს სესხის სახით შიმშილობის გამო, მაგრამ ისე კი, რომ ეს სესხი მეორე წელიწადს უზღონ მთავრობას ერთმანეთის თავდებობით; ასეთ სესხზე ხალხმა ერთხმათ უარი განაცხადა, მიუხედავათ იმისა, რომ უმეტესობა ახლავე უკიდურესათ გაჭირვებულია უსურსათობით... რა ქნან, იციან გამოცდილებით: ვინიცობაა მომავალი წელიც უმოსავლო იქნეს, სესხს შეუწყნარებლათ მოსთხოვენ ხალხს, და თუ სხვანაირი გძელვადიანი დახმარება არ იქნება, უარს ამბობენ, ადგილობრივი მევახშეების სხვერპლათ ვერ გახდებიან, იციან ამის წვენიც.

**კლდისთაველი.**

**ს. რთკათი** (ბალდადის მხარე). ვის არ მოეხსენება, თუ როგორ აუტანელ მდგომარეობაში ვართ, წელს სიმიდის მოუსავლობით. ვინ მოსთვლის, რამდენ ოჯახში დიდები სადილსა და ვახშამს სთმობენ დროგამოშვებით, რომ ბავშები შიმშილით არ დაეხოცოსთ. და ამ უბედურებასთან კიდევ მეორე უბედურება ის არის, რომ თუ ვინიცობაა ჩვენში კაცმა ორიოდე გროში იშოვა და სიმიდის სასყიდლათ გაემგზავრა მახლობელ სოფლებში, აქაური ბატონ-პატრონები გზაზედაც არ უშვებენ: ამასწინათ ადგილობრივი მცხოვრები ს. აბულაძე გაემგზავრა ს. სალომინაოს სიმიდის საყიდლათ. ყიდვას შემდეგ. შინ დაბრუნებულა და გზის შესამოკლებლათ სახელმწიფო ადგილზე გამოუვლია ურმით. მას შეხვედრია ერთი აქაური „სახელგანთქმული“ ტყაჩო „ფეოდორი“, წაურთმევია ურემი სიმიდით და პატრონი ცემა-ტყეპით შინ გამოუსტუმრებია.—ა—ძეს ბოქაულისათვის გამოუცხადებია ყოველივე და უთხოვია საქმის ჯეროვანი მსვლელობის მიცემა. ბალდადის ბოქაულს გაუგზავნია თავისი დარაჯი ტყის მცველის მოსაყვანათ ჩვენების ჩამოსართმევათ, მაგრამ ტყის მცველს მასხრათ აუგდია დარაჯი და არც წაყოლია. საქმე ამით გათავდა ჯერ-ჯერობით; ა—ძეს კი არც სიმიდი მიუღია და არც ურემი. საჭიროა, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მეტი უნარი გამოიჩინოს ამ ვაჟბატონების უკანონო მოქმედების ასალაგმავათ.

**ა. ფ.**

---

**დ. ლანჩხუთი** (გურია). დრამატიული წრის გამგეობამ ამასწინათ კრებას წარუდგინა მის მიერ შემუშავებული წესდება. წესდება კრებამ რამდენსამე პუნქტის შესწორებით მიიღო.

საფაჭრო სახლი
**ი. გოკიელის ძმ—ბის**
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის

**ნ. ხრისტოდულიდის** (რომელ-... წერეთლის)

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტოდულიდის ... თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.** ... ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თვით საფაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარცხანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ქქგომეს მე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში. იარმურკაში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვიდა ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი სათვალეო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საყელესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი სათვალეო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


გამგეობა ცდილობს რაც შეიძლება ბევრი წევრი შეიძინოს.

სანამ საკუთარ შენობას ააგებდენ თეატრისთვის, მანამდი დაიქირავეს პ. კილაძის შენობა, ცდილობენ მის გაფართოებას და რეგულიარულად წარმოდგენების მართვას. ნეტავი რა არის მიზეზი, რომ ახალს შეკრებილ სცენის მოყვარეთა ჯგუფში არცერთი ძველი სცენის მოყვარენი არ ურევია? ყოველშემთხვევაში ვუსურვებ გამგეობას, რომ მალე განზრახვა სისრულეში მოეყვანოს.

— აქაურ სამკითხველოზე ამ უკანასკნელად საყვედურები ისმის. ერთობ უწესრიგობა ხდება, ხმამაღლა ლაპარაკი და ერთი არევ-დარევაა. სამკითხველო ძლიერ ღარიბია წიგნებით; არის შიგ ერთი შკაფი, უწყვიათ წიგნები და შინ არავის აძლევენ წასაკითხად. სამკითხველოშივე არ ხერხდება არც კითხვა, არც მეცადინობა...

სკოლე.

## პასუხად.

„სიტყვის" კორესპონდენტს, ბ. ერთ დამსწრეთაგანს.

განვიხილოთ, „სიტყვის" ბ. დამსწრე, მე-4 №-ში თქვენი კორესპონდენცია მოთავსებული და ვნახოთ რამდენად ახლოა სიმართლესთან. თქვენ ბძანებთ: თავჯდომარეთ არჩეულ იქნა კირილე დიდიძეო. ერთ კაცსაც არ უხსენებია კირილე; თავჯდომარეთ თათეოსიანცი და თანაშემწეებათ: ივანე ალ. და ვანო მდივანი და გიგო დიდიძე, ძმა კირილესი, და არა კირილე, მდივნათ სერ. ჯინჭველეიშვილი. რათ ათვისებთ კირილეს იმ თანამდებობას, რომელიც მისთვის არავის დაუკისრებია? შემდეგ ამბობთ: 3000 მონაწილეთაგან კრებაზე გამოცხადდა 700 კაციო. 3000 კი არ იყო აღნიშნული სიაში, არამედ 697 და აქიდან გამოცხადდა 237 და არა 700 კაცი. ერთს სიმართლეს ამბობთ:—ბევრი დარჩა უხმოთ და არ იყო აღნიშნული სიაშიო. ეს მეც აღვნიშნე, მაგრამ აქ ბრალი ვის ედება, თქვენს საგოგმანებელ მირაბს ბერაძეს, თუ ახლათ არჩეულთ? მონაწილეთა სიის შედგენა მირაბის საქმეა, და რომ არ შეიტანა ეგ ხალხი სიაში და დასტოვა უხმოთ, ვისი ბრალია? ბერაძემ ყოველი ღონე იხმარა შეეკრა თავისი მომხრეთა სია და გაძევა სიიდან ისეთნი, ვისგანაც საფრთხეს მოელოდა. მაგრამ არ გაუმართლდა ოცნება. ვინ დადიოდა სოფლათ, პატიჟობდა ხალხს, რომ მისთვის მიეცათ ხმა და ადგენდა პარტიას? არჩევნების დღეს ვინ მოიტანა ბეჭები და ქათმები სამტრედიიდან და გაგიმართათ ნადიმი? ვისი პარტია იყო მთვრალი, რომ ერთმანეთს ვერ სცნობდა? საზოგადოებას ორი კანდიდატი ყავდა ბერაძე და ამირაჯიბი. კრებაზე რომ წესიერება არ დარღვეულიყო, უეჭველათ ძველი მირაბი გაიმარჯვებდაო. მერე ვინ არღვევდა წესიერებას ბერაძის პარტია, თუ ამირაჯიბისა? ბძანებთ: არჩევანი ვიწრო, უადგილო ადგილს, ცას ქვეშ, ღამით მოხდა, ბნელში ურიგებდენ წერაკითხვის უცოდინარ დამსწრეთ ქაღალდის ნაგლეჯებს და თვითონვე ვინც მათ სურდათ, იმის სახელსა და გვარს უწერდენო, აქ არც კანტროლი, არც შემოწმება ნამდვილი ხმების არ მოხდარა, ამის მაგალითიც იყო, რომ ერთი პირი რამდენსამე ხმას აძლევდა—ერთი სიტყვით, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდაო... ყოველივე ეს სიყალბეა და თქვენი დამარცხების ნაყოფი. არაფერი მზგავსი არ მომხდარა. თავჯდომარე კითხულობდა სიას, ვინც გამოცხადდებოდა, აძლევდა ბარათს თვით ძველი მირაბის ბერაძის ბეჭედ დასმულს. ორი კანდიდატი იყო: ძველი ბერაძე და ახალი ამირაჯიბი. ორი ქუდი იყო, ერთს ეწერა ბერაძე, მეორეს—ამირაჯიბი. თვითოეული ხმის მქონე აგდებდა ამ ბეჭედ დასმულ თითო ბარათს ქუდში, თითო ბარათის მეტი არ ქონდა მიცემული და იგიც ბერაძის ბეჭდით დამოწმებული, და ვისმე რომ ბეჭედ დასმული ბარათები მოეპარა და დაერიგებია ხალხისთვის, ეს სიყალბე დათვლის დროს გამოჩნდებოდა ხომ. კენჭის ყრა რომ დასრულდა, შევიდენ სამკითხველოს ოთახში, სადაც დაესწრო ოცდაათ კაცზე მეტი; მთელი საზოგადოება ხო ვერ დაესწრებოდა ოთახში. იქნება ფიქრობთ, თქვენი თავჯდომარე რომ არ დასწრებია, კირილე, იმიტომ იყო უკანტროლო. საბჭოს წევრებიც ამ წესით აირჩიესო, ბძანებთ. ეგეც სიცრუეა საბჭოს წევრები ხმით აირჩიეს და არა ბარათების მიცემით. შემდეგ გადადიხართ ბ. თედორაძეზე და დასძენთ:—არჩევანი რომ ყოვლად უწესო არ ყოფილიყო, თედორაძე ვერ გავიდოდა, როგორც უხმოო, მიკვირს! თუ სხვას ფარცხანაყანევის საზოგადოების მცხოვრებს ქონდა ხმა თედორაძეს რათ არ უნდა ქონოდა, როცა ადგილიც გააჩნია და კვალიც!.

არა, ბ. დამსწრე, თქვენთვის მეხსიერებას უღალატია, სიზმარი გინახავთ და გამოგიმზეურებიათ ყოველივე გაზეთის ფურცელზე და „სიტყვის" რედაქციაც შეცთომაში შეგიყვანიათ.

ვეტა.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.


# საჭიროა

სამეურნეო შკოლაში კურს დასრულებული, მევენახობისა და მეღვინობის მცოდნე პირი.

მიაკითხონ „კლდეულურულის" კანტორას მიხეილის ქ. ძმ. გოკიელის სახ.

# საცვლების მკერავი
ქ ა ლ ი

სალომე უკლებაშვილისა ღებულობს საკერავებს.

ბაღახვანის ქ. სახლი გრიგოლიასი № 64

ევროპიული ტანისამოსების სახელოსნო

**ნ. ასათიანისა და ი. კვერღელიძის.**

ქ. ქუთ. ალექსანდრეს ქ. სახ. თევდორაძისა.

ვღებულობთ ყოველნაირ შეკვეთილ საქმეს, რომელსაც ვასრულებთ დახელოვნებული გამომჭრელის და საუკეთესო ქარგლების ხელით. ყველა ჩვენს მუშტარს შეუძლია ისარგებლოს 1/2 წელს ტანისამოსის უფასო შეკეთებით.

# ა. ი. კოსტავას
## ევროპიულ მაღაზიაში
(თფილისის ქუჩა, ქალაქის ათთაქის გვერდით)

კაცების ახლათ მიღებულ ტანისამოსზე 20-ი ნოემბრიდან 1 იანვრამდი

## დანიშნულია
# დიდი იაფი ვაჭრობა.

—✦ ფასები ძლიერ დაკლებულია. ✦—

კოსტიუმები 8—35 მან., შარვლები 4—12 მან., პალტო 10—38 მან.

ფ ა ს ე ბ ი უ ც ვ ა ლ ე ლ ი.



ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).

**ა. თაგაგრის მაღაზიაში.**

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებულია.

ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

13-го декабря 1913 года при канцеляріи 2-й батареи 51-й Артиллерійской бригады, Месхетская улица домъ Когуащвили

## назначаются ТОРГИ

на цоставку продуктовъ съ 1-го января 1914-го года для 3-хъ батарей 1-го легкаго дивизіона 51-й Артиллерійской бригады.

Лица, желающіе принять участіе въ торгахъ, приглашаются къ означенному дню въ 11 часовъ утра для заключенія контрактовъ на поставку продуктовъ.

| КУРСЫ | ПРІЕМЪ |
|---|---|
| кройки и шитья для дамъ и дѣвицъ. | заказовъ на элегантные дамскіе наряды |

## M-me МАРИ

На-сколко важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что спеціальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможноть: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) заработывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтную практику заграницей и въ столичныхъ городахь Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого. Поспѣшите записатьса на курсы.

Тутъ же при курсахъ открыта мною специальная мастерская для пріема заказовъ исключитеьлно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ:* Кутаисъ, 1-ая Александровская ул. д. Бокерія противъ бульвара.

Съ почтеніемъ **M-me МАРИ.**

# გ. გორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათუმის და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მანგანის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მისს ყუთზე ნიშანს „БЕМСКОВ"

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიათა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

# კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის საწყობშია

**შ ე მ დ ე გ ი გ ა მ ო ც ე მ ა ნ ი:**

1. ყუბანეიშვილი. პირველდაწყებითი დარიგება სალვთო სჯულის სწავლებაზე ფ. ყდით 6 შაური.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2. ქვარიანი. | საქართველოს მოკლე ისტორია | ფ. | „ 2 | აბაზი. |
| 3. ხუნდაძე. | ქართული გრამატიკა | ფ. | „ 3 | „ |
| 4. მისივე. | მოკლე ქართული გრამატიკა | ფ. | „ 1 | „ |
| 5. ნიკოლაიშვილი. | მოკლე ქართული გრამატიკა | ფ. | „ 1 | „ |
| 6. რობაქიძე. | სამშობლოს აღწერა | ფ. | „ 10 | შაური. |
| 7. „გუთანი" | ქართული სახელმძღვანელო | ფ. | „ 17 | „ |
| 8. გერსამია ლვდ. | ლოცვანი | ფ. | „ 2 | „ |
| 9. დათეშიძე. | ქართული წერის დედანი | ფ. | „ 5 | „ |
| 10. კიტა აბაშიძე. | ეტიუდები XIX საუკ. ქარ. ლიტ. შესახებ | ფ. | „ 14 | „ |

აქვე იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი. პროვინციის წიგნის მაღაზიებს ეძლევათ დიდი სალავათი.

გვერდით გამართულია სპეციალური კანცელარიის მაღაზია **დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოება სასწავლო და საკანცელარიო ნივთები ძლიერ იაფათ; ამ ჟამათ აქ მიღებულია მრავალი სავიზიტო ბარათი და კალენდარი 1914 წლისა.

დრესი: Кутаисъ. книжный магазинъ т-ва К. И. Оцхели.

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

# პაროლი
{ 25 ცალი 3 შ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე
{ 10 — 6 კ. } ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.


ელექტრო-საბეჭდავი ფირაძისა და კომპანიისა ქუთაისში.